

# საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

**30** ივნისი, შაბათი, 1990 წ.  
№ 121 (10 290) შპსი 8 კპა.

გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან

## აგდანი საოცრება ერთ ჩემპიონატში?

**დაახლოებით** ასეთ შეფასებას აძლევენ მიმომხილველები მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის პირველ ორ ეტაპში მომხდარ შედეგებს. შესაძლოა ეს ასეცაა, მაგრამ აბა, გულდასმით გადავხედოთ განვილო შეხვედრათა შედეგებს და გულახდილად ვთქვათ — ნამდვილად ამდენი მოულოდნელობა მოხდა ჩვეულებრივ ტურნირებსა და მერვედფინალებში, თუ ყველაფერი ეს გახვიადებული და გაბუქებულია.

მართლაც, თუ რეალურ საოცრებებზე ვილაპარაკებთ, ესაა კამერუნის ფეხბურთელითა ყოველად განუმარტავი და უპროვოზო მოგვებები არგენტინისა და რუმინეთის გუნდებთან, ხოლო შემდეგში — კო-

ლუმბილებთან. თქმა არ უნდა, კამერუნის № 1 სენსაციისა წლებადელ გათამაშებაში.

წინასწარი ეტაპის სხვა შეხვედრებიდან მოულოდნელი იყო საბჭოთა ფეხბურთელთა აშკარა მარცხი თავიანთი ჯგუფში, შოტლანდიელთა წაგება კოსტარის გუნდთან, პოლანდისა და ეგვიპტის გუნდების შეხვედრა, დასავლეთგერმანიელთა ფრე კოლუმბიის გუნდთან და ზოგიერთი სხვა. მოულოდნელობა მერვედფინალშიც კამერუნისა და კოსტარის გუნდების გასვლა, მაგრამ, საინტერესოა, რომელ მსოფლიო ჩემპიონატში არ მომხდარა ამგვარი კატაკლიზმები, სადა არ ყოფილა ასეთი სიურპრიზები. მსოფლიო ჩემპიონატი სწორედ ის შეჯიბრებაა, სადაც წინასწარ განწინასწარულ გუნდებს საშუალება აქვთ საქვეყნოდ დაამტკიცონ თავიანთი პოტენციური შესაძლებლობები, ამიტომაც ისინი ყოველწლიურად ცდილობენ ხელიდან არ გაუშვან ეს შესაძლებლობა.

მოულოდნელობებს შეიძლება ის ამბავიც განუკუთვნოს, რომ მსოფლიო ჩემპიონატში ჯერჯერობით არ ჩანან ის გამოჩენილი ვარსკვლავები, რომელთა რიცხვიდანაც გათამაშების დამთავრების შემდეგ, მომდევნო 4 წლის ვადით, უნდა გამოვლინდეს უბირველესი, გამოჩენილი მორის გამოჩენილი, რომელსაც მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულს მიაკუთვნებენ. მართალია, ყოველ გუნდში არიან უმაღლესი კლასის ოსტატები, რომელთა შეუდარებელი ხელოვნებითაც ვტყუებით ჩვენც და, თუ ტრიბუნებზე მიყურებულთა რეაქციას გავუყვებით ანგარიშს, უშუალოდ მატჩებზე დამწერნიც, მაგრამ, აი, სწორედ ის პირველი ფეხბურთელი, სწორედ ის „სუპერ-ვარსკვლავი“, რომელმაც უდავო საყოველთაო აღიარება უნდა ჰპო-



ვოს, ჯერჯერობით არ ჩანს. მაგრამ წინ კიდევ მეოთხედფინალები, ნახევარფინალები, მატჩი მესამე ადგილისთვის და ფინალური შეხვედრა. პრინციპულად, ალბათ იქ გამოჩნდება.

ბევრი ლაპარაკია იმაზეც, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე არ ჩანს რაღაც გამოჩენილი, ახალი თამაშის სისტემები და სტრატეგია, მართალია, თითოეული მატჩი გამოიჩენავს უკიდურესი დაძაბულობით, შეუპოვარი ბრძოლით, მაღალი კლასით, მაგრამ ეს ჯერჯერობით ძველი, ნაცადი სისტემების, ტაქტიკური სქემების მხოლოდ ცალკეული ვარიანტებისა და ნიუანსების სახით თუ გვევლება ცალკეული გუნდების კონკრეტულ მოქმედებათა დროს.

მაგრამ, საკითხავია, ვინაა ასე ადვილი თანამედროვე ფეხბურთში რადიკალურად ახალი სისტემის გამოგონება? იყო დრო, როცა შეიძლებოდა „დუბლ-ვეს“ სისტემის დაკანონება, ბრაზილიური სქემით თამაში ორი სტრატეგის მონაწილეობით, პოლანდიური ტრადიციული ფეხბურთი, რომელმაც ნამდვილი რევოლუცია მოახდინა ფეხბურთში, მაგრამ ყოველგვარამა ამ ნოვაციამ სრულყოფის ისეთ დონეს მიაღწია, რომ ახლა ასეთივე მასშტაბის ახალი სქემის შემუშავება უაღრესად ძნელი, ძალზე ძნელი საქმეა.

როცა ამ მეოთხედ საუკუნის „ინ ბრაზილიელებმა“ თამაშად ჩართეს შეტევითი განაპირა მცველების ნაწევრები, საფეხბურთო სამყარომ

### „ლელო“ წინადადებათ მოგზავრთავთ

დაგოუკიდებელი სპორტული კონტაქტებისათვის

## პარდუბიცას „სტილ-ჩეისი“ და ჩვენი მხედრები, რატომაც არა!

**დღევანდელ** პირობებში საქართველოს სპორტსმენებს არა აქვთ უფლება დამოუკიდებლად მიიღონ მონაწილეობა, სპორტის სხვადასხვა საერთაშორისო სახეობებში საზღვარგარეთ გამართულ ოფიციალურ შეჯიბრებებში. მაგრამ არის ისეთი ასპარეზობები, რომლებიც ტრადიციულია და ამა თუ იმ საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით არ ტარდება. სხვაგან რაკი შეზღუდვები ვართ, ახლა სწორედ ასეთ შეჯიბრებებში მონაწილეობაზე უნდა ავიღოთ გეზი, ამ გზითაც უნდა შევეცადოთ მსოფლიოში გავიცნოს. მაინც რომელ შეჯიბრებებს ვშუქისმობთ?

შედეგობაში ამჯერად გვაქვს ცხენოსანთა ასპარეზობა — პარდუბიცის „სტილ-ჩეისი“, რომლის საიუბილეო მეასე ასპარეზობა წელს გაიმართება. მსოფლიოს საცხენოს-

ნო სპორტის სამყაროში აღიარებულ ამ ღონისძიებაში ბევრჯერ გამოსულან საბჭოთა მხედრები, მაგრამ ქართველები არასოდეს. რატომ არ შეიძლება ჩვენი ცხენ-მხედრები მიველინოთ პარდუბიცეში საასპარეზოდ?

როცა ასეთ შეკითხვას ვიძლევი, მხედველობაში, ცხადია, ისიც გვაქვს, რომ პარდუბიცეს „სტილ-ჩეისი“ პროგრამით თბილისის ოპორთომის დირექტორი, ჩვენი მხედრებისთვის ბოლო წლებში ატარებს შეჯიბრებებს, დღეს უკვე გამოცდილი ცხენ-მხედრებიც გვაქვს. პარდუბიცეს „სტილ-ჩეისი“ ერთ-ერთ დისტანციებზე, ვფიქრობთ, დირექტორად იასპარეზებდნენ თბილისელი ცხენოსნები სოსო შელია და ზაზა გონჯილაშვილი. ორივე გამოცდილი ოსტატი, წარმატებით გამო-

სულან ჩვენში „სტილ-ჩეისის“ რთულ დისტანციებზე ასპარეზობაში. პარდუბიცეში ჩვენი მთავარი ამოცანა ამჯერად მონაწილეობა უნდა იყოს და არა გამარჯვება, მერვეჯანობა... საიუბილეო შეჯიბრება პარდუბიცეში სექტემბრის ბოლოსა დაგეგმილი, ამიტომ უნდა ვიჩქაროთ. შეგახსენებთ, რომ ამ შეჯიბრებას ტელევიზია მთელ მსოფლიოში გადასცემს. თუ საკითხი დადებითად გადაწყდება, განსაკუთრებული პროგრამით უნდა დამწეროს მზადება.

ვინ ითავებს ორგანიზაციული საკითხების მოგვარებას? გარდა ოფიციალური უწყებებისა რედაქცია სიამოვნებით მიიღებს, აგრეთვე მკითხველთა კონკრეტულ წინადადებებს.

ველით თქვენს გამოხმაურებას.

## ვლადიმერ ჯაფარიძეს სრულიად იაკონიის ჩემპიონატში ინვაკან

**საპარტველოს** სსრ მინისტრთა საბჭომ კარატეს ცალკეული სტილის ფედერაციების რეგისტრაციის უფლება მიანიჭა რუსთაველის საზოგადოების ქართული და აღმოსავლური ორთაბრძოლების ასოციაციას. ამ დღეებში ამ ასოციაციამ რეგისტრაციაში გაატარა კარატედოს (სიტოკაის სიტორიუს) რესპუბლიკური ფედერაცია (პრეზიდენტი,

მოქმედი სპორტსმენი ვ. ჯაფარიძე). ამავე დღეებში იაკონიიდან მოვიდა მოწვევა, რომელიც საქართველოში გამოგზავნა საბჭოთა კავშირში კარატედო სიტაის სკოლის ფუძემდებელმა სატომ. მოწვევაში ვკითხულობთ: „ვიწვევ ჩემს მეგობარს ვლადიმერ ჯაფარიძეს იაკონიაში კარატე სიტოკაიში სრულიად იაკონიის 31-ე ჩემპიონატში მონაწილე-

ობის მისაღებად 30 ივლისიდან 10 აგვისტომდე.

იაკონიაში ყოფნის დღეებში ყველა ზარკებს, მათ შორის საკითხების შემთხვევაში სამედიცინო მომსახურებისას, მე გავიღებ“.

როგორც ხედავთ, კონტაქტები ფართოვდება.

მივესალმებით!

**წოდების მინიჭება**  
საბჭოთა კავშირის სპორტსახეობა სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა:

**სამბოში** — ბადრი გრძელიშვილს (თბილისი, სახალხო განათლება), ალექსანდრე თანდიაშვილს, ივანე არაბულს (ორივე — თბილისი, „შე-

**ვარდენი**“), ვასილ გულაგაშვილს (თბილისი, სახალხო განათლება).

**რადიოსპორტში** — არშაკ ოგანესიანს (თბილისი, დოსაფი).

### საპარტველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## ქ. თბილისის ზოგიერთი რაიონისათვის სახელის გაღარქმევის შესახებ

**საპარტველოს** სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანება: 1. მზარი დაეჭიროს საზოგადოებრივ აზრს, სტრუქტურა ახალგაზრდობის და მშრომელთა წინადადებებს ქ. თბილისის კალინინის, კაროვის, ოჯონიძის, 26 კომისრის, პირველი მაისისა და საქარხნო რაიონებისათვის სახელების გაღარქმევის შესახებ, რომლებიც მოიწონეს შესაბამისი რაიონული საბჭოების სე-

**საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება**  
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი  
**გ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1990 წლის 8 ივნისი.

სიებმა და თბილისის სახალხო დემუკრატია საქალაქო საბჭოს აღმასკომისა.

2. ეწოდოს კალინინის რაიონს — მთაწმინდის რაიონი, კაროვის რაიონს — კრწანისის რაიონი, ოჯონიძის რაიონს — ვაკის რაიონი, 26 კომისრის რაიონს — ისინის რაიონი, პირველი მაისის რაიონს — დიდუბის რაიონი და საქარხნო რაიონს — სამგორის რაიონი.

**საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება**  
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი  
**გ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1990 წლის 8 ივნისი.

### შურნალისტი პაციენტის როლი

## ეს პართი და...


**დრამატურგიისა** არ იყოს, სი-ახლეს, როგორც მოქმედებას, დროისა და ადგილის ზუსტი შერჩევა სჭირდება. ვაღიარებ, ამ საქმეს, მართლაც, კარგი „დრამატურგები“ ჰყოლია — საკეთებელი ალლოიანად, უხმაუროდ და სანიმუშოდ აკეთეს. ვლიარებ-მეთქი, იმიტომაც ვამ-

ბობ, რომ მსურს ჩემ თავთანაც გულახდილი ვიყო: რამდენჯერ მიფიქრია — იდეა, რომ იტყვიან, პაერშია გამოკიდებული, ბევრი თუ არა, იმდენი მაინც დაწერილა, გამგებს გეგვო, გამკეთებელი კი არა და არ ჩანს.


თურმე ვცდებოდი და, ღმერთმა

ქნას, ხშირად შეგმცდარიყავით ასე. ამას მაშინ მივხვდი, როცა ჩვენი თვის ჯერ ესოდენ უცხო და ახალი დაწესებულება — საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის ჯანმრთელობის ცენტრი დავათვალიერე, მერე ახსნა-განმარტებისთვის ამ ინსტიტუტის რექტორს, პროფესორ ომარ გოგიაშვილს მივაკითხე და, უპირველეს ყოვლისა, ცხადია, საქმის წინასტორით დავინტერესდი.

— ორი-სამი წლის წინათ — მითხრა ბატონმა ომარმა — მოსკოვში გაიმართა რესპუბლიკების სპორტკომიტეტების თავმჯდომარეთა თათბირი, რომელსაც, ცხადია, ბატონი ნუგზარ ენდელაძეც ესწრებოდა. თათბირის მონაწილეთათვის უჩვენებდათ ერთი კოორდირატი, რომელშიც მსურველებს ფუნქციური შესაძლებლობების დიაგნოზს უსვამდნენ და სათანადო რეკომენდაციებსაც აძლევდნენ. ეს რა ვნახე, ვერ იტყვით თურმე იმ კოორდირატიზე — სარდაფის ტიპის შენობაში არც თუ ახალი მოწყობილობა დაედგათ — მაგრამ საკუთარი ჯანმრთელობის შემოწმებისა



და საკირო რეკომენდაციების მიღების მსურველი იმდენი იყო, წინასწარ რიგში ჩაწერა ყოფილა საჭირო. ბატონ ნუგზარის ინიციატივით გადაწყდა, ჩვენც გვეცადა შეგვექმნა ამ ყიდის, მაგრამ გაცილებით უფრო მასშტაბური, მოხერხებული და თანამედროვე დაწესებულება, უფრო სწორად, ჯანმრთელობის ცენტრი — იმ კოორდირატივის საქმიანობა, როგორც უკვე მოგახსენეთ, დიაგნოზის დასმისა და



რეკომენდაციების გაცემას არ სცილდება. იდეა, იცოცხლეთ, მოსაწონებ მეტიც გახლდათ, ამიტომ საქმეს დაუხანებლად შევუდექით — ვითარებაში გასარკვევად და საქმის შესასწავლად ჯერ მოსკოვში გვიგზავნა ჩვენი წარმომადგენელი, მერე კი ჩვენს უფლები გვემთ მოქმედებაც დაიწყეთ...

აქ დროებით შევწყვიტეთ რექტორთან საუბარი და ჯანმრთელობის ცენტრი „დავათვალიერეთ“: ჩვენში დამკვიდრებული ტრადიციის საპირისპიროდ, სადა ფასადის მიღმა ჩინებული, გემოვნებით მოწყობილი გარემო დაგვხვდა. ფანქრების მიღმა ოცდაათმეტრიანი აუზი მოჩანდა — ზოგი კურავდა, ზოგიც მზეზე ირუჯებოდა. ცენტრის დირექტორმა, დოქტორმა გივი ყირმელაშვილმა ყველა კაბინეტში შეგვანება და აგვისანა — ამ ოთახებში ჩვენს პაციენტებს პირველადი კომპლექსური გამოკვლევა ჩატარდება. გამოკვლევის საფუძველიანობა ექვს არ იწვევს — რა პროფილის სპეციალისტებსა და რა სახის უახლეს აპარატურას, მათ შორის უცხოურს, არ შეხვდებით და ნახეთ აქ: ფუნქციური დიაგნოსტიკის, ფიზიოთერაპიის, დიეტოლოგიის, ენდოკრინოლოგიის, ფსიქოთერაპიის, სამკურნალო ფიზიკურის, მასა-

# ეს პრტი და...

(დასასრული)

ვის, ხალხური მედიცინისა და არატრადიციული მეთოდებით მკურნალობის კაბინეტები, კლინიკა-ლიაგნოსტიკური და ბიოქიმიური ლაბორატორიები... თქვენს ყურადღებას აუცილებლად მიიპყრობს უცხოური აპარატურით აღჭურვილი კომპიუტერული სისტემის კაბინეტი, მით უმეტეს, თუ იქ შორეულად გამოცდილ ექიმს, ჯანმრთელობის ცენტრის მთავარ სპეციალისტს, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატს მამუკა (ოთარ) ვირბუგის მოპირავე თვალს.

„ამ კაბინეტში პაციენტი მიიღებს ჯანმრთელობის პაკეტს“ — მეუბნება ბატონი მამუკა და მთავაზობს შევარჩიო ჩემთვის „აქტიულობის“ ტესტები. გამოკვლევის ეს პროგრამა შექმნილია პროფესორ ს. ლუშინის მიერ, აღიარებულია როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში და მოიცავს ხუთ ტესტს: 1. ჯანმრთელობის მრავალფაქტორიანი, ხანგრძლივადიანი პროგნოზირება, 2. ჰარბი წონის ნორმალისაციის პროგრამა და კვების რაციონალიზაცია, 3. თამბაქოს მწველის პირველი დიაგნოსტიკა და წვეის მიზეზების დადგენა, 4. გულის იშემიური დაავადებების ინდივიდუალური რისკის მრავალფაქტორიანი შეფასება, 5. ჯანმრთელობისა და ფიზიკურ მოძრაობათა რეჟიმის პასპორტი. ამ სახის გამოკვლევა საქართველოში ჯერჯერობით მხოლოდ აქაა დაწესებული, ჯანმრთელობის პაკეტის მიღება მხოლოდ აქ შეიძლება, ასე რომ, ცდუნება დიდი იყო და სამი ტესტი შევარჩიე — პირველი, მეორე და მესამე. პირველი ტესტის მერე პრინციპულად ნახველი ტესტი განაჩენივით ჩავიბარე — ჩემი ცხოვრების წესის, მემკვიდრეობითობისა და ეკოლოგიური ფაქტორების გავლენის მიხედვით სიცოცხლის ხანგრძლივობას თურმე ოცი წლით ვიმოკლებ. დამამშვიდებელი არც და-

ნარჩენი ტესტების პასუხები გახლდათ, ასე რომ, სხვა ვა არა მაქვს — უახლოეს ხანში ამ ცენტრის პაციენტი უნდა გავხდე.

ხემათ მოგახსენებ, ჯანმრთელობის ცენტრის განხრის თაოსნებმა დრო და ადგილი ზუსტად შეარჩიეს-მეთქი. ჯერ ადგილზე ვთქვათ, უკეთეს ვერ მომიჭირებს კაცი: დამეთანხმებით, ბევრს ნიშნავს ფიზიკურად ინსტიტუტის, სპორტსახკომის, ვაკის პარკისა და სტადიონის, ჯანმრთელობის ბილიკების ცნობილი „ქსელისა“ და თბილისის სხვა დიდი სპორტული ობიექტების სახსლოვე. ამ ცენტრისათვის ეს ადგილი, მართლაც, ზედამოჭრილია. დროც ხომ იყო და იყო: ყველამ იცის, რა არათანაბრად ნაწილდებოდა ყურადღება, გარჯა და სახსრები დიდ სპორტსა და მასობრივ ფიზიკურულ შორის. ამ უსამართლობამ და წინადაუხედაობამ ისინი ისე განასხვავა ერთმანეთისაგან, როგორც პროსპექტი და ორბოზე. მუდამ დაჩაგრულისა და ხელმოკლის, დიდის რიხით მასობრივ-ფიზიკურულ მოძრაობად რომ მოგნათლეთ, ფეხზე წამოყენება ვერც ბოლო დროს გახსნილმა ჯანმრთელობის კოორდირებებმა შეძლეს — არც მათი რაოდენობაა საქმარისი და, ხშირ შემთხვევაში, მომსახურების საფასურიც გვიჭირებდა. ერთი სიტყვით, სიახლე იყო საქირო, თანაც, როგორც დღევანდელობაზე დავიკრებო ვეცდები-ტურებს, ვაცილებით უმჯობესი იქნებოდა, ინიციატივა, ასე ვთქვათ, სახელმწიფოებრივი ყოფილიყო — კერძო პირთა (რავინდ ფხიანებიც უნდა იყვნენ) კოორდირაციული გაქანება ჩვენში ამხელა საქმეს ჯერჯერობით ვერ ვასწავლება. ამ აზრის მართებულობაში ვივი ყირმელაშვილის სიტყვებმაც დამარწმუნა: მართალია, სამეურნეო ანგარიშზე ვართ, მაგრამ, კოორდირებებთან შედარებით, ჩვენი მომსახურების ღირებუ-

ლება საკმაოდ ზომიერი და ყველასათვის ხელმისაწვდომიაო.

განვარდით შეწყვეტილი საუბარი. ო. გოგიაშვილი: თავიდანვე გადაწყდა — ჯანმრთელობის ცენტრის საქმიანობა დიაგნოსტიკა-რეკომენდაციით არ შემოფარგლულიყო. ამ სახის მომსახურება ცენტრის ძალზე მნიშვნელოვანი, მაგრამ მხოლოდ პირველადი ფუნქცია უნდა ყოფილიყო. დიაგნოზი და რეკომენდაცია, იცოცხლოთ, საჭიროა, მაგრამ ამით დაკმაყოფილება გვეცოტავა — თანამემამულეთა ჯანმრთელობაზე ზრუნვას თუ ისახავ მიზნად, ხალხს გაჯანსაღება-გააქეზაშიც უნდა შეეგელო, ამ საქმის მაღლო და მარილი ხომ სწორედ ამაშია. ერთი სიტყვით, მომავალი ცენტრის საქმიანობის მასშტაბი ჩანაფიქრშივე გამოიკვეთა — პაციენთა მომსახურების, ასე ვთქვათ, კლინიკური სფერო, სპორტულ ბაზათა ფართო ქსელს უნდა შეერწყმოდა, თუმცა, მიგვიხვდებით, რომ ჩვენთვის ყველაზე ძნელი სწორედ დიაგნოსტიკურ-რეკომენდაციული სამსახურის ამოქმედება გახლდათ — ამ საქმის მოვარება მედიკოსების დაუხმარებლად, რა თქმა უნდა, გაგვიჭირდებოდა. დავუკავშირდით ჯანმრთელობის დაცვის მინისტრს ბატონ ირაკლი მენაღარიშვილს, რომელმაც უმალ აული ალო ამ მართლაც საშვილიშვილო საქმეს. და ყველანაირად — რეკომენდაციებით თუ მეთოდური ხელმძღვანელობით — დავეხმარა დასახული მიზნის მიღწევაში. ყურადღება არ მოგვაკლეს „საქმედტექნიკის“ გენერალურმა დირექტორმა ლევი ჯიბლაძემ და მედმომარაგების ხელმძღვანელმა ბორის მისურაძემ. ცხადია, ჩვენ მათ ძალზე ვემაღლიერებით.

ტრუტის ბაზებს ჩამოვთვლი: განახლებული ოცდახუთმეტრიანი აუზი, ტანვარჯიშის ორი, ფრენბურთის, კალათბურთის, კრივის, მძლეოსნობის დარბაზები, ჩოგბურთის კორტები, სტადიონი თავისი მძლეოსნური ბილიკებით, წყლის პროცედურების სპეციალური საბაზანო, სამი საუნა, ნიჩბოსნობის აუზი, საჭყუმალაო ბავშვებისა და მათთვის, ვისაც ცურვის შესწავლა სურს. ეს ბაზები ჯანმრთელობის ცენტრის პაციენტებს დაეთმობათ სა-მისათიდან, იმ დროიდან, როცა ინსტიტუტში წყდება სასწავლო პროცესი. ამას დაუმატეთ სპორტსახკო-

ამ ცენტრის საქმიანობა მკვიდროდ დაუკავშირებდა ფიზიკულტურის ინსტიტუტს სასწავლო ცენტრს. რას ვგულისხმობ და რას ნიშნავს ეს; იოლი მისახვედრია: დიაგნოსტიკა-რეკომენდაცია-რეკონსტრუქცია-ვაკსამით ცენტრში, რაც მათ მუშაობის თანამედროვე ფორმების შეთესებაშიც დაეხმარება და ჩვენში ჯერ დაუმკვიდრებელი საქმიანობის გამოცდილებასაც შესძენს. გარდა ამისა, ცენტრში სამსახური სტუდენტების მწირ ბიუჯეტსაც შეეცება. უმთავრეს მიზნად კი, აი რა დავისანეთ: დღეს რესპუბლიკაში რთული ვითარებაა, რა დასაძალია, მოსახლეობის ფიზიკური გაჯანსაღებისთვის ზრუნვა საგრძნობლად შესუსტდა, არადა, ამ საქმის უყურადღებოდ მიტოვება დანაშაულია. ერთი სიტყვით, ვინ, თუ არა ჩვენ, სპორტსა და ფიზიკურ კულტურაში მორტიალე ხალხმა...



მის ობიექტები — მძლეოსნობის მანეჟი, ფალანგთა კლუბი, დახურული აუზი, ფარკატობის, მაგიდის ჩოგბურთის დარბაზები. როგორც ხედავთ, ყველა ეს ბაზა ჯანმრთელობის ცენტრის სახსლოვესაა, შორის წასვლა არავის დასჭირდება, ცენტრის კომპაქტურობის ქარტულ უნიშვნელო პრობლემა ბუნებრივად გადაწყდა.

ეს გახსავია, მაგრამ ჯანმრთელობის ერთი ცენტრი, თუნდაც ასეთი კარგი და თანამედროვე, მიუღს ქალაქსა და, მით უმეტეს, რესპუბლიკას რას გახსავდება...

— გამოსავალი ერთია — ამაზე ყველამ უნდა იფიქროს, ყველამ, ვისაც საამისო უფლება და სახსრები აქვს — აღმასკომების თავმჯდომარეებმა, დღის წარმომება-დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და მეურნეობების, დარგობრივი პროფკავშირების, ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებლის, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა. მათი გარჯის მასშტაბები, ცხადია, მათსავე შესაძლებლობებს უნდა შეეფარდებოდეს. მთავარია, ბევრი ორგანიზაცია თუ დაწესებულება შეეცადოს, გასწავდეს თავის „სამუყსოს“. ჩვენ მუდამ მზად ვართ დავხმაროთ ჯანმრთელობის დიდი თუ პატარა ცენტრის ჩამოყალიბების მსურველებს — საამისოდ სპეციალური სამსახურიც კი შევქმნივით. ვისაც უსახსრობისა ან სხვა მიზეზების გამო არ შეუძლია ამგვარი სამსახურის შექმნა, მათ ხელშეკრულებს, საფუძველზე თანამშრომლობას ვთავაზობთ.

დღევანდელმა ვითარებამ მწველად დააყენა დაფინანსების პრობლემა: არაერთი კარგი ჩანაფიქრის განხორციელებას ხშირად აბრკოლებს უსახსრობა. ჯანმრთელობის ასეთი ცენტრის შექმნა, ცხადია, იაფი არ დაგვიტყობდათ. ერთი სიტყვით, როგორ მოახერხებთ?..

ეს ცენტრ აშენდა და ჩამოყალიბდა ფიზიკულტურის ინსტიტუტის შემოსავლის, უფრო სწორად, მოგების თანხებით. დოტაციურ-ბიუჯეტური კაბიკი არ დახარჯულა.

გაკეთებულ მასშტაბითა და ხარისხით თუ შევადარებთ, ცოტას არ დახარჯვდით. ცხადია, მოგებაზეც ფიქრობთ, ოღონდ, ეკვი არ მეპარება, ამ ზრახვას მერკანტილობასთან საერთო არაფერი აქვს.

მერწმუნეთ, ეს მართლაც ასეა. მთავარი მოგება ის გახლავთ, რომ

ჯანმრთელობის ცენტრის შესაძლებლობანი, მიზნები და ამოცანები, ცხადია, ამით არ ამოიფურება. ცენტრის ხელმძღვანელობას არაერთი სხვა ჩანაფიქრიც აქვს, მაგრამ უმთავრესზე, ვფიქრობ, მოგახსენებ: ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმება, სათანადო რეკომენდაციები და კვალიფიციური სპეციალისტების მეთვალყურეობით გაჯანსაღება თუ განვითარება, მიაკითხეთ ფიზიკულტურის ინსტიტუტის ჯანმრთელობის ცენტრს. უმჯობესი იქნება, წინასწარ ჩაეწეროთ. იმგვარად, როგორც აქ, მერწმუნეთ სხვაგან ვერსად მოგემსახურებინა.

თ. შენგალია.



## ლიდარისა ჯგუფი, გოლო ტურის ნინ

**აზოვი.** მოკადრე ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის საზონათშორისო ტურნირის ბოლო ტურის შეხვედრები საკმაოდ მძაფრი და უკომპრომისო ბრძოლით აღინიშნა.

ყურადღების ცენტრში იყო ლიდერების ცენტრში იყო ლიდერების — ა. ვალიამოვასა (სსრ კავშირი) და ე. კლიმოვას (ჩეხოსლოვაკია) ორთაბრძოლა, რომელიც ყაიმით დამთავრდა. კიდევ ერთმა ლიდერმა ჩინელმა ე. ბენმა „წაიტება კისერი“ ამ დღეს, მას ფ. უსკოვამ (სსრ კავშირი) აჯობა.

დაწინაურებულ მოკადრეებთან ამ შედარებით წარუმატებლობის ფონზე ნამდვილად ფასილ იყო გამარჯვება, რომელიც ქეთევან კახიანმა მოიპოვა ამერიკელ ო. ბურტმანთან. ქართველი მოკადრე 10,5 ქულით სატურნირო ცხრილში პირ-

ველ ადგილზეა, თუმცა... ამდენივე ქულა (10,5-10,5) აქვთ ვალიამოვასა და კლიმოვას.

ბოლო ტური, რომელიც გუშინ გაიმართა, ლიდერთა განლაგებაში საბოლოო სიცხადეს შეიტანს. ქეთევან კახიანი, ალბათ გახსოვთ, უნდა შეხვედროდა ძლიერ უნგრელ მოკადრეებს ო. მაღერს. ჩინელი პენი (მას ბოლოსწინა ტურში დამარცხების შემდეგ 10 ქულა დაჩრა) ეთამაშებოდა ო. ჩელუშკინას (სსრ კავშირი), კლიმოვა — ბულგარელ მ. ვოისკას, ხოლო ვალიამოვა — ამერიკელ ე. ბურტმანს.

მეორე ქართველმა მოკადრეკმ იუგოსლავიელ ე. აშაგიჩთან დამარცხების შემდეგ სამეულში მოხვედრის ყოველგვარი შანსი, პრაქტიკულად, დაკარგა.

აშვილი (თბილისი). ლიდერს ნახევარი ქულით ჩამორჩება დავით ჩაჩიბაია (სენაი), 4-4 ქულა მოაგროვეს ვასილ ვაშაიძემ, ოთარ თურქესტანიშვილმა, ხენია ბაბტაძემ (სამივე — თბილისი), გონა თორიამ (ზუგდიდი) და ბესიკ ლუქავამ (სამტრედია).

„ლელო“ ხეტ. კორ.

## საპარტვილოს აკოვნალი ჩეპიონატი ფახპურთში

**მეორე წრის მატჩები**

**5 აგვისტოს დაიწყება**

**გაუიენ** თბილისის 26 მაისის სახელობის სტადიონზე გაიმართა ერთეულ ჩემპიონატში მონაწილე უმაღლესი ჯგუფის გუნდების პირველი წრის მატჩი ფეხბურთში. ვალის „მზიური“ (ვალის, სტადიონი დისკვალიფიცირებულია). შეტედა წყალტუბოს „სამგურალს“. მატჩი დამთავრდა „მზიურის“ გამარჯვებით — 4:2.

ჩემპიონატის დანარჩენი მატჩები გაიმართება დღეს, 30 აგვისტოს, ხოლო ტურის ცენტრალური შეხვედრა „გორდასა“ და ლანჩხუთის „გურაში“ შორის 2 ივლისს რუსთავეში ჩატარდება. ამის შემდეგ რესპუბლიკის ეროვნულ ჩემპიონატში შესვენებაა. მეორე წრის მატჩები 5 აგვისტოს დაიწყება.

**ქრონიკა**

საპარტვილოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა თავისი ბრძა-

## საპარტვილოს X სპარტაკიადა იგივენი და... დუქეპი

**სპარტაკიადა** გეტყვი — ფოთი, მალთალყა, მდინარე კაპარქინა — და შეჯიბრებას თავად მიხვდებით: რა თქმა უნდა, რესპუბლიკის ჩემპიონატი საბაიდარო ნიჩბოსნობაში, რომელიც ამჟამად საქართველოს მეათე სპარტაკიადის პროგრამით ჩატარდა. მონაწილეთა წარმომადგენლობაც შესაფერისი გახლდათ: თბილისი, ქუთაისი, რუსთავე, ფოთი, მცხეთა, წყალტუბო, აფხაზეთი, აჭარა და... ლუშეთი. ამ უკანასკნელზე იმითვე ვამხვილებთ ყურადღებას, რომ ლუშეთის მონაწილეთა მართლაც განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია: ორიოდ წელია, რაც მცხეთელმა მწვრთნელმა შალვა მუსოვამ ბაზალეთის ტბაზე საბაიდარო ნიჩბოსნობის ჯგუფები ჩამოაყალიბა. ამ მცირე ხნის მანძილზე ახალბედა ლუშეთელმა ნიჩბოსნობის ანბანიც ისწავლეს და რამდენიმე შეჯიბრებაშიც მიიღეს მონაწილეობა, წელს კი ესოდენ სერიოზული გამოცდის ჯაიციც დაუდგათ. თუმცა, გამოცდაზე ლაპარაკი, რა თქმა უნდა, ნაადრევია — ლუშეთელი ჯერ მხოლოდ გამოცდილების შეძენაზე ფიქრობენ და მეტი, ცხადია, ჯერჯერობით არც მოეთხოვებათ.

ჩემპიონატი გვოგნათა ასპარეზობით დაიწყო. ერთადგილიანი ბაიდარებით 500 მეტრზე რბოლაში ყვე-

ლას აჯობა მცხეთელმა ნ. მუსოვამ, ამავე დისტანციაზე ორადგილიანი ბაიდარებით შეჯიბრებაში კი საუკეთესონი იყვნენ ქუთაისელები თ. ავალიანი და მ. ტურაბელოძე, ამ ორიონსპირელებმა გ. ორგანიზაციისა და ა. ხურციქისთან ერთად ოთხადგილიანი ბაიდარებით რბოლაშიც ისახელეს თავი.

კანონისტების ასპარეზობა რუსთაველთა სამეურის „ბენეფისად“ იქცა: როგორც 500, ისე 1000 მეტრზე გატარებულ ტოლი არ ჰყავდათ გ. კახიშვილს (ერთადგილიანი), თ. დვალიშვილს და დ. დოდაშვილს (ორადგილიანი).

ვაჭათა შორის ერთადგილიანი ბაიდარებით 1000 მეტრზე რბოლაში პირველი ადგილი დაიკავა მცხეთელმა ზ. ახალაშვილმა, ამავე დისტანციაზე ორ და ოთხადგილიანი ბაიდარებით შეჯიბრებაში კი ფინისის ხაზი პირველებმა გადაკეთეს თბილისისა და აფხაზეთის ეკიპაჟებმა.

საბოლოოდ, გუნდური საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. აფხაზეთი — 457 ქულა, 2. ფოთი — 460, 3. ქუთაისი — 437.

**ბრისტან მანია,** „ლელო“ ხეტ. კორ. ფოთი.

# აპლანი საოსტრეა პრტი ჩეპიონატი?

(დასასრული)

გაოცებისაგან პირი დაალო. მაგრამ ეს მაშინ იყო ეფექტური და მოულოდნელი, ახლა რომ რეგულარულად მიმართო მცველთა ასეთ რეიდებს, მეტოქე სწორედ ამ მანერზე გამოვიტყვებს და დაგსჯის კიდევ გვახსოვს, ცნობილია ქართველმა მწვერთელმა ა. ნორაკიძემ განაცხადა, რომ ჰოლანდიელთა მიერ შემუშავებული ტოტალური ფეხბურთის შემდეგ ძნელია რაიმე ფუნდამენტური ხასიათის ცვლილებათა მოხდენა საფეხბურთო სისტემაში და ჭეშვარიტად ასეთ ცვლილებებს ვერც ვხედავთ.

ზევით ვილაპარაკეთ ახალი ტიპის ექსტრა-ფეხბურთელთა თაობაზე. მსოფლიო ჩემპიონატის დაწყების წინ ბევრს ლაპარაკობდნენ იუგოსლავიელთა 25 წლის თავდამსხმელ დრაგან სტოიკოვიჩზე, ეს ფეხბურთელი იტალიაში მართლაც შესანიშნავად თამაშობს, მას მაშინვე მიაღწია ფასი დედო და საფრანგეთის „მარსელმა“ 7,5 მილიონი დოლარი გაიღო ფეხბურთელთან კონტრაქტის დასაიდებად. დ. სტოიკოვიჩი მართლაც შეუდარებელი იყო ესპანელებთან მატჩში და ორი ბრწყინვალე გოლიც გაიტანა. ყოველი მატჩის მერე იტალიური გაზეთი „კორიერე დელო სპორტი“ 10-ბალიანი სისტემით აფასებს ფეხბურთელის თამაშს, დ. სტოიკოვიჩმა ესპანელებთან მატჩში 8 ქულა დაიმსახურა. იგი დარწმუნებულია, რომ შემდგომ მატჩებში კიდევ უფრო მეტად გამოიჩინოს თავს.

იტალიის ნაკრების მიერ ავსტრიელებთან ჩატარებული პირველი მატჩის შემდეგ ბევრი სპეციალისტი კრიტიკულად მიუღდა მასპინძელთა შესაძლებლობებს და აღნიშნა, რომ იტალიას ახლა არა ჰყავს ისეთი მასშტაბის ფეხბურთელი, როგორც ოდესღაც იყო პაოლო როსი. მართლაც, პაოლო როსის მსგავსი მოთამაშე იშვიათად თუ გამოჩნდება საფეხბურთო კაბადონზე, მაგრამ განაღდო დრომ და პ. როსის დარი ფეხბურთელიც გამოჩნდა. ესაა სალვატორე სკილიჩი, რომელიც რობერტო ბაჯოსთან ერთად ღირსეულ წარმოადგენს იტალიელებისათვის. ასეთი ფეხბურთელები საკმარისად ჰყავთ მეოთხედფინალში გასულ სხვა გუნდებსაც.



## გულუბატობები

● ზევით მარცხნივ — ჰოლანდიელები და ირლანდიელები;

● ქვევით: მარცხნიდან იტალიელები, ესპანელები და ბრაზილიელი ლამაზმანები;

● ზევით მარჯვნივ — შოტლანდიელები.



რომლებიც შემდგომ შეხვედრებში კიდევ უფრო ნათლად გამოავლენენ თავიანთ შესაძლებლობებს. ასეთებია: ინგლისელი პარი ლინეკერი, კამერუნელი როუე მია, ჩეხოსლოვაკიელი ტომას სკუბრაჟი და სხვანი. რაც შეეხება ინგლისელ დევიდ პლატს, ბელგიელებთან მერვედფინალურ მატჩში მან ისეთი სილამაზის ბურთი გაიტანა, რომ მომავალში ალბათ ქრესტომატიულ ნიმუშად იგარგებს საფეხბურთო მიღწევათა დემონსტრაციის დროს, მაგრამ არის კი რომელიმე მათგანი დიეგო მარადონას ტოლი?

საფუძველს მოკლებული არაა ის ლაპარაკი, რომ იტალიის მსოფლიო ჩემპიონატზე აშკარა მარცხი იწვევს სამხრეთამერიკელებმა. მეოთხედფინალს მხოლოდ მსოფლიო

ჩემპიონმა არგენტინამ მიაღწია, ამ ეტაპის 8 მონაწილეს შორის კიდევ ერთი აფრიკიდანაა, ხოლო ექვსი — ევროპიდან. როცა სამხრეთ ამერიკის გუნდების წარუმატებლობას აღვნიშნავთ, გვახსენდება ბრაზილიელთა მწვერთელის ს. ლაზარონის სიტყვები: „საქმე ის კი არაა, რომ დავმარცხდით, მთავარია ის, თუ როგორ დავმარცხდით“. მაგრამ ეს მხოლოდ სიტყვების თამაშია, წაგებული ყოველთვის გამოძინების თავის გასამართლებელ მიზეზებს.

ერთი სიტყვით, მსოფლიო ჩემპიონატმა საფეხბურთო სამყაროს ბევრი პრობლემა გაუჩინა, მაგრამ მთავარი ჭერი მაინც წინაა, მეოთხედფინალის მონაწილე გუნდებს მრავალი განსაცდელი მოელოთ.

## ფიფა-ს განაჩენი

**ფეხბურთის** საერთაშორისო ფედერაციის სადისციპლინო კომისიამ განიხილა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ჰოლანდიის გუნდების მერვედფინალურ შეხვედრაში მომხდარი ინციდენტი და განაჩენიც გამოიტანა. ჰოლანდიელი ფეხბურთელი ფრანკ რიკარდი დისკვალიფიცირებულია 3 საერთაშორისო შეხვედრით, ხოლო რუდი ფიოლერი — ერთით, გარდა ამისა, ეს ფეხბურთელები დააჯარიმეს თითოეული 20 ათასი შვეიცარიული ფრანკით. შეგახსენებთ, რომ არგენტინელ-

მა მსაჯმა ზუან ლოსტუმ ეს ფეხბურთელები გააფრთხილა, მაგრამ როცა ზომამ შედეგი არ გამოიღო, რ. ფიოლერიც და ფ. რიკარდიც მინდვრიდან გააძევა, თანაც ამ მომენტში რიკარდმა შეაფურთხა ფიოლერი. ფიფა-მ რ. ფიოლერის საქციელი შეაფასა უხეშ თამაშად, ხოლო ფ. რიკარდისა — არასპორტულ საქციელად. კომისიამ დადგინებულ შეიფასა მსაჯის მოქმედება, რომელმაც დროის გაყვანის გამო ყვითელი ბარათი აიყენა გერმანელ ლტარ მათესს.

## საპარტიკო პარტნიორი

### I ჯგუფი

**ბაიზარტა** რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი XVIII ტურის შეხვედრები I ჯგუფის გუნდებს შორის. „ჩიხურა“ (საჩხერე) — „არაგვი“ (დუშეთი) 0:0, „სიხარული-90“ (გაგრა) — „მადაროელი“ (ჭიათურა) 1:0, „სტულორი“ (ვანი) — „კახეთი“ (თელავი) 2:1, „სქური“ (წალენჯიხა) — „ბახტრი-

ონი“ (ახმეტა) 1:2, „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — „შუქურა“ (ქობულეთი) 2:2, ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „იმერეთი“ (ზონი) 1:1, „მარგვეთი“ (ზეგსტაფონი) — „ქართლი“ (გორის რ-ნი) 3:1, „სიონი“ (ბოლნისი) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 4:1, „არმაზი“ (მცხეთა) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 2:2, ტექნიკური უნივერსიტეტი (თბილისი) — „დურუჯი“ (ყვარელი) 0:2.

## პათაგონის სერილი

მდგომარეობა 30 ივნისისთვის

გუნდი	თ.	გ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მარგვეთი“ (ზეგსტაფონი)	16	14	3	2	40-16	42
„ალაზანი“ (გურჯაანი)	17	11	3	3	32-18	36
„ხულორი“ (ვანი)	17	11	3	3	23-15	36
„სიხარული-90“ (გაგრა)	17	10	4	3	33-15	34
„სიონი“ (ბოლნისი)	17	9	3	5	31-22	30
„კახეთი“ (თელავი)	15	7	3	5	22-16	24
„არაგვი“ (დუშეთი)	16	6	6	4	20-16	24
„იმერეთი“ (ზონი)	17	7	2	8	20-28	23
„მადაროელი“ (ჭიათურა)	17	6	2	9	23-27	20
„ჩიხურა“ (საჩხერე)	15	6	1	8	16-25	19
„არმაზი“ (მცხეთა)	16	5	4	7	20-28	19
„სამეგრელო“ (ჩხოროწყუ)	17	4	7	6	21-21	19
„ქართლი“ (გორის რ-ნი)	16	6	0	10	24-24	18
„სქური“ (წალენჯიხა)	16	5	3	8	23-25	18
ფიზკ. ინსტ.	16	5	3	8	16-24	18
„შუქურა“ (ქობულეთი)	16	4	6	6	21-23	18
„ბახტრიონი“ (ახმეტა)	16	4	5	7	20-31	17
სტუ.	17	5	1	11	23-35	16
„საპოვნელა“ (თერჯოლა)	16	4	3	9	16-23	15
„დურუჯი“ (ყვარელი)	16	3	3	10	12-31	12

## მსაჯთა რეპორტი

**ფეხბურთის** საერთაშორისო ფედერაციის მსაჯთა კომისიამ დაასახელა ის არბიტრები, რომლებიც მოემსახურებენ მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალურ შეხვედრებს. ესენი არიან: კურტ როტლისბერგერი (შვეიცარია), არგენტინა — იუგოსლავია. კარლოს სილვა ვალენტე (პორტუგალია), იტალია — ირლანდია. პელმუტ კოლი (ავსტრია), გურჩისფრ. ედგარდო კოდესალი (მექსიკა), კამერუნე — ინგლისი. გამოცხადდა ისიც, რომ შვიდი ფეხბურთელი დისკვალიფიცირებულია გამოცხადებულ მეოთხედფინალურ შეხვედრებში. მეოთხედფინალურ შეხვედრებში ვერ ითამაშებენ: გერმანელი რუდი ფიოლერი, კამერუნელები ემილ მბუ, ანდრე კანა ბიკი, აკემ ნდიბი და ეიუელ ონანა, არგენტინელი პედრო მონსონი და იტალიელი ნიკოლა ბერტი.

## რამარი ტობლური

**1970 წელს** ბრაზილიელებმა მესამედ მოიპოვეს ჩემპიონის ოქროს მედლები და სამუდამო მფლობელობაში დაიტოვეს პრესტიჟული პრიზი — „ოქროს ჩალმერით“. მექსიკის ჩემპიონატთან დაიწყო ამ ქვეყნის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი საფეხბურთო კრიზისი, რომელმაც ბოლოს და ბოლოს ქრონიკული ჩასიათი მიიღო. ბრაზილიამ ამ კრიზისს დღემდე ვერ დააღწია თავი.

ფეხბურთი კი ვითარდებოდა და ახალ, უფრო თანამედროვე, პრაქტიკულ ელფერს იძენდა. ბრაზილიურ ერას თან გაჰყვა საკმაოდ პოპულარული სისტემა, რომელიც 50-იანი წლების მიწურულსა და 60-იან წლებში განუკითხავად ბატონობდა მსოფლიოს სტადიონებზე და ბრაზილიურ სისტემად იწოდებოდა. იგი შეიცვალა ფეხბურთზე ახალი წარმოდგენით, ე. წ. ტოტალური სტილით, რომლის სულის ჩამდგმელი ევროპის მცირე ქვეყანა — ჰოლანდია აღმოჩნდა.

სტილს ფეხბურთში, როგორც

## სტილის დახანჯისი

წესი, მოთამაშეთა ოსტატობა და შესაძლებლობები განსაზღვრავს. იმ პერიოდში ჰოლანდიის კლუბებში თავი მოიყარეს ერთნაირად მოაზროვნე, ერთნაირად ძლიერმა ფეხბურთელებმა, რომლებსაც ერთნაირი წარმატებით შეეძლოთ თავდასხმაში და დაცვაში თამაში. ტოტალური სტილი პირველ ყოვლისა ფეხბურთელთა უნივერსალიზმს, ყოველის შემქმნელის გულსხმობას. სწორედ ასეთი ყოვლისშემძლენი იყვნენ კრუიფი და ნეუსკენსი, რეპი და ერსენბორიტი, კეოლი და ვან ჰანეგემი, ყველა, ვინც 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატში ამ ქვეყნის ღირსებას იცავდა.

ტოტალური სტილის მიმდევარი იყო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მაშინდელი ნაკრებიც — მეთექვსმეტი ჩემპიონატის მასპინძელი და ამ ქვეყნის ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი. საუკეთესო-აზროვნებით, სტილით, მოთამაშეთა ოსტატობით და პრაქტიკიზმით. და გასაკვირი არ არის, რომ სკადაპაშვილის ვინაშით ერთმანეთს სწორედ ამ ორი ქვეყნის ფეხბურთელები შეხვედნენ. გადამწყვეტი ბრძოლა ტურნირის მასპინძელმა მოიგეს (2:1) და ფიფა-ს მიერ დაწესებულ პირველ თასს დაეპატრონენ.

ბრაზილიელებმა კი... მათ ბრძოლა ბოლომდე არ შეუწყვეტიათ, მაგრამ მხოლოდ მესამე ადგილი დაიკავეს.

**სურათში:** 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდი (ძირითადი და სათადარიგო ფეხბურთელები). ფინალური მატჩი გუნდმა ახელი შემაღველობით ჩაატარა (ისინი ყველანაირად აღებუდდნენ არიან ფოტოზე): მაიერი, ფოგთი, ბრაიტენბერგი, შვარცენბეკი, ბეკენბაუერი, ბონჰოფი, იერბატი, პიუნენი, გრაბოვსკი, მიულერი და პოლცენბანი.



27 035066 გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მე-18 ტურის შეხვედრები. სოხუმის დინამოელებმა ქ. გორკში ითამაშეს „ლოკომოტივთან“, დაძაბულ ბრძოლაში მათ ერთი ქულა მოიპოვეს — 0:0.

